დამტკიცებულია: დამფუძნებელთა საერთო

ყრილობის (კრების) „30“ ივნისი 2018წ. N1 ოქმით

საქართველოს

აგრარული მეურნეობაში, ვაჭრობასა და მრეწველობაში დასაქმებულთა პროფესიული კავშირის

წესდება

საქართველო, ქ.თბილისი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. **„საქართველოს აგრარულ მეურნეობაში, ვაჭრობასა და მრეწველობაში დასაქმებულთა პროფესიული კავშირი“** (შემდგომში: პროფესიული კავშირი) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის ნორმების, კანონმდებლობის, მათ შორის კანონის „პროფესიული კავშირების შესახებ” და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

1.2. პროფესიული კავშირი არის საერთო შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და პროფესიული ინტერესებით დაკავშირებულ პირთა ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს: აგრარული მეურნეობის, გადამამუშავებელი და მრეწველობის და მომიჯნავე დარგების, სამკერვალო ტყავ-ფეხსაცმლის, ბეწვის გამოყვანის ღებვის ტექსტილის ასევე დარგობრივ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებში დასაქმებულებს, ასევე ვაჭრობის სფეროში მომუშავე ფიზიკურ პირებს, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომას მათი მრწამსის, სქესის, ერვნების, რელიგიური შეხედულებისა და სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

1.3. პროფესიული კავშირი თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1.4. პროფესიულ კავშირს აქვს თავისი სიმბოლოები (დროშა, ემბლემა), მრგვალი ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, ქონება, საანგარიშსწორებო საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში.

1.5. პროფესიული კავშირი დამოუკიდებელია სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობისა და თვით¬მმართველობის ორგანოების, მეწარმეთა (დამსაქმებელთა) გაერთიანებების (ასოციაციების), პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან.

1.6. პროფესიული კავშირი უფლებამოსილია საკუთარი სახელით შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, დადოს ხელშეკრულებები, კანონით დადგენილი წესით დააფუძნოს ორგანიზაციები, ფილიალები (წარმომადგენლობები), როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს მის აქტივებს საქართველოს კანონმდებლობისა და პროფესიული კავშირის მიზნების შესაბამისად, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.

1.8. პროფესიული კავშირის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. I შესახვევი, N43.

1.9. პროფესიული კავშირის ელ. ფოსტის მისამართია: agritradeunion@gmail.com.

მუხლი 2 პროფესიული კავშირის საქმიანობის ძირითადი პრინციპები,

მიმართულებები მიზნები და ამოცანები

2.1. პროფესიული კავშირის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) პროფესიული კავშირის წევრთა თანასწორუფლებიანობა;

ბ) ხელმძღვანელ ორგანოთა არჩევითობა და ანგარიშვალდებულება ამომრჩეველთა წინაშე;

გ) ხელმძღვანელობის კოლეგიურობა;

დ) ხელმძღვანელ ორგანოებში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი წარმომადგენლობა;

ე) ურთიერთინფორმირება;

ვ) დემოკრატიული პრინციპების დაცვა;

ზ) გადაწყვეტილების საჯაროობა და გამჭვირვალობა;

თ) პროფესიული კავშირის წარმომადგენლობითი (არჩევითი) ორგანოების

გადაწყვეტილებების შესრულების აუცილებლობა სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და პროფკავშირის წევრთათვის;

ი) სოლიდარობა საერთო მიზნების მისაღწევად;

კ) სოციალური პარტნიორობა, თანამშრომლობა დამსაქმებელთან და მათ გაერთიანებებთან.

2.2. პროფესიული კავშირის საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

ა) პროფესიული კავშირის წევრთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, პროფესიული და სამართლებრივი უფლებების, ინტერესებისა და გარანტიების დაცვა და მათი წარმომადგენლობა;

ბ) ორგანიზაციული და ფინანსური განმტკიცება;

გ) საწესდებო მოთხოვნების შესრულება;

დ) საქმიანობის სტრატეგიისა და სამოქმედო პროგრამის განსაზღვრა;

ე) სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია;

ვ) სისტემატიური და თანმიმდევრული ზრუნვა წევრთა ცხოვრების დონის ამაღლების, შრომის სამართლიანი, ღირსეული ანაზღაურების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის მისაღწევად, უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შესაქმნელად;

ზ) დამსაქმებელთან (დამსაქმებლებთან) სოციალური პარტნიორობით წევრთათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების, გარანტიების და შეღავათების გაფართოება;

თ) სოლიდარობის განმტკიცება;

ი) საერთაშორისო პროფკავშირულ გაერთიანებებთან, ცენტრებთან და საზღვარგარეთის მონათესავე პროფესიულ კავშირებთან ურთიერთობა.

2.3. პროფესიული კავშირის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია:

ა) პროფესიული კავშირის წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებების რეალიზება;

ბ) პროფესიული კავშირის წევრთათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების, გარანტიების და შეღავათების სრული რეალიზება;

გ) სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის საინფორმაციო-მეთოდური დახმარების გაწევა, პროფკავშირული კადრების მომზადება და სწავლება, მოწინავე გამოცდილების შესწავლა და განზოგადება;

დ) საინფორმაციო-მეთოდური, კულტურულ-საგანმანათლებო, საგამომცემლო, საქმიანობის განხორციელება;

2.4. პროფესიული კავშირი თავისი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) მონაწილეობს შესაბამის ორგანოებში შრომით და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების წინასწარ განხილვაში, შეიმუშავებს ალტერნატიულ წინადადებებს, ამ ორგანოებთან ურთიერთთანამშრომლობას წარმართავს დემოკრატიულობისა და თანაბარუფლებიანობის სრული დაცვის საფუძველზე;

ბ) მონაწილეობს სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის, დამსაქმებელთა, ან მათი გაერთიანებების წინაშე დაყენებული საკითხების და წინადადებების წინასწარ განხილვაში;

გ) შეაქვს წინადადებები პროფესიული კავშირის წევრთა შრომის ანაზღაურების სისტემების, მატერიალური წახალისების ფორმების, სატარიფო განაკვეთების და სარგოების ოდენობის განსაზღვრაში;

დ) მონაწილეობს დამსაქმებელთა (დამსაქმებელთა გაერთიანებების) კოლეგიალური ორგანოებისა და დასქმებულთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიების მუშაობაში;

ე) წარადგენს წინადადებებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში წევრთა ცხოვრების დონის ძირითადი კრიტერიუმებისა და კომპენსაციების განსაზღვრის თაობაზე;

ვ) მონაწილეობს ყველა დონის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით;

ზ) იყენებს ყველა მინიჭებულ უფლებას თავისი მიზნების და ამოცანების განსახორციელებლად;

თ) მართავს მოლაპარაკებებს და შეხვედრებს სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის, დამსაქმებელთა წარმომადგენლობებთან პროფესიული კავშირის მიერ მათ წინაშე დაყენებული საკითხებისა და წინადადებების განსახილველად და შეთანხმების მისაღწევად.

ი) ავრცელებს საჯარო განცხადებებს, მოთხოვნებს და წინადადებებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;

კ) ეწევა პროპაგანდას ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში პროფესიული კავშირის წევრობის მოტივაციის გაძლიერების და პროფესიულ კავშირში ახალი წევრების მოზიდვის მიზნით;

ლ) თანამშრომლობს საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციებთან და მონათესავე პროფესიულ კავშირებთან, მათი გამოცდილების გაცნობისა და დანერგვის მიზნით.

მ) კონტროლს უწევს დასაქმებულთა უფლებებთან დაკავშირებულ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებითა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

მუხლი 3. პროფკავშირის წევრები, მათი უფლებები

და მოვალეობანი.

3.1. პროფკავშირის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს agraruli meurneobis, vaWrobis da mrewvelobisa და მონათესავე დარგობრივ ორგანიზაციებში დასაქმებული, რომელიც აღიარებს პროფკავშირის წესდებას, ყოველთვიურად იხდის პროფკავშირის გამგეობის მიერ დადგენილ ფისქირებულ საწევრო შენატანს და თავის საქმიანობით ხელს უწყობს პროფკავშირის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

3.2. პროფკავშირის წევრობა და წევრობის შეწყვეტა ხდება ინდივიდუალური წესით, პროფკავშირში შემსვლელის ან წევრობის შეწყვეტის მსურველის პირადი წერილობითი განცხადების საფუძველზე წევრად მიღების ან წევრობის შეწყვეტის საკითხს იხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი კოლეგიური ორგანო.

3.3. პროფკავშირის წევრები აღრიცხვაზე იმყოფებიან პროფკავშირის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში საწარმოო ან ტერიტორიული ნიშნით/პრინციპით.

3.4. პროფკავშირის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნას პროფკავშირის დელეგატად, ხოლო დელეგატი აირჩიოს და არჩეული იქნას ხელმძღვანელ, აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოებში;

ბ) თავისუფლად იმსჯელოს პროფკავშირული მუშაობის საკითხებზე, შეიტანოს წინადადებები, გამოთქვას და დაიცვას თავისი აზრი;

გ) პირადად მონაწილეობდეს პროფკავშირის იმ შეკრებებზე, რომლებზეც განიხილავენ მის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს;

დ) მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია პროფკავშირის საქმიანობის შესახებ;

ე) თავისუფლად გავიდეს პროფკავშირის წევრთა რიგებიდან პირადი წერილობითი განცხადების საფუძველზე.

3.5. პროფკავშირის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას პროფკავშირის წესდება;

ბ) მონაწილეობდეს პროფკავშირის საწესდებო მიზნების განხორციელებაში;

გ) დაიცვას პროფკავშირის საქმიანობის კონფიდენციალობა;

დ) შეასრულოს პროფკავშირის ხელმძღვანელი კოლეგიური და აღმასრულებელი ორგანოების (ყრილობა, გამგეობა, თავმჯდომარე) გადაწყვეტილებები.

3.6. პროფკავშირის წევრი, რომელიც სისტემატიურად არღვევს წესდებას, არ ასრულებს პროფკავშირის კოლეგიური ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ან სხვა

მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას პროფკავშირის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შეიძლება გარიცხულ იქნეს პროფკავშირის წევრობიდან.

მუხლი 4. პროფკავშირის სტრუქტურა

4.1. პროფკავშირის სტრუქტურული მოწყობის საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროფკავშირის თავმჯდომარე.

4.2. პროფკავშირის სტრუქტურული ქვედანაყოფი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. მისი მართვის და საქმიანობის წესი რეგულირდება პროფკავშირის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული **დებულებით "პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ"** საფუძველზე.

4.3. პროფკავშირის სტრუქტურული ქვედანაყოფები ანგარიშვალდებულნი არიან პროფკავშირის ყრილობისა, გამგეობის და თავმჯდომარის წინაშე.

მუხლი 5. პროფკავშირის ხელმძღვანელობა

და წარმომადგენლობა

5.1. პროფესიული კავშირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს გამგეობის თავმჯდომარე (იგივე-პროფკავშირის თავმჯდომარე).

5.2. გამგეობის თავმჯდომარე (იგივე – პროფკავშირის თავმჯდომარე) აირჩევა ყრილობის მიერ გამგეობის შემადგენლობიდან 4 (ოთხი) წლის ვადით.

5.3. პროფკავშირის თავმჯდომარე:

- წარმართავს პროფკავშირის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
- წარმართავს პროფკავშირის გამგეობის საქმიანობას და ხელმძღვანელობს მის სხდომებს;
- თავმჯდომარეობს პროფკავშირის ყრილობას და ხელს აწერს მის დოკუმენტებს;
- წარმოადგენს პროფკავშირს სხვა პირებთან ურთიერთობის დროს;
- ზედამხედველობს პროფკავშირის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას;
- ხელს აწერს პროფკავშირის ოფიციალურ დოკუმენტებს;
- ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს;
- ამტკიცებს პროფკავშირის საშტატო განრიგს, აწარმოებს კადრების შერჩევას, დებს და აუქმებს შრომით ხელშეკრულებებს (კონტრაქტებს), გამოსცემს განკარგულებებს.

- ახორციელებს წინამდებარე წესდებითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

5.4. პირადი განცხადებით პროფკავშირის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის შემთხვევაში, გამგეობა ვალდებულია დაუყოვნებლივ მოიწვიოს რიგგარეშე საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა, რომელიც ირჩევს ახალ თავმჯდომარეს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

5.5. პროფკავშირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს პროფკავშირის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის განკარგულებით – მისი მოადგილე.

5.6. პროფკავშირის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის, ასევე გამგეობის წევრთა უფლებამოსილება გრძელდება მომდევნო საანგარიშო-საარჩევნო ყრილობამდე.

5.7. პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილე ხელმძღვანელობს პროფკავშირის საქმიანობის ცალკეულ, ძირითად მიმართულებებს და ანგარიშვალდებულია პროფკავშირის თავმჯდომარის წინაშე. თავმჯდომარის მოადგილის ფუნქციები განისაზღვრება თავმჯდომარის მიერ და მტკიცდება პროფესიული კავშირის გამგეობის სხდომაზე. წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილეს პროფკავშირის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შეიძლებაYშეუჩერდეს უფლებამოსილება.

5.8. პროფკავშირის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე ხელმძღვანელობენ პროფკავშირის პრაქტიკულ საქმიანობას და ანგარიშვალდებულნი არიან პროფკავშირის ყრილობისა და გამგეობის წინაშე.

5.9. პროფკავშირის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან პროფკავშირის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისთვის შეუძლია მხოლოდ ყრილობას, დელეგატთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში ყრილობა ირჩევს ახალ თავმჯდომარეს დარჩენილი ვადით.

5.10. გამგეობის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე(ები), რომელსაც 4 (ოთხი) წლის ვადით გამგეობის შემადგენლობიდან თავმჯდომარიოს წარდგინებით ირჩევს გამგეობა. საჭიროების შემთხვევაში პროფესიული კავშირის თავმჯდომარეს უფლება აქვს საზოგადოებრივ საწყისებზე მოადგილის მოვალეობის შესრულება დააკისროს გამგეობის რომელიმე წევრს.

5.11. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს ახორციელებს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე, ხოლო თავმჯდომარის და მისი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – გამგეობის ერთ-ერთი წევრი თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე.

მუხლი 6 პროფკავშირის უმაღლესი ხელმძღვანელი

(კოლეგიური) ორგანოები

6.1. პროფკავშირის უმაღლესი ხელმძღვანელი (კოლეგიური) ორგანოებია:

- პროფკავშირის ყრილობა;

- პროფკავშირის გამგეობა;

- საკონტროლო-სარევიზიო კომისია.

6.2. პროფკავშირის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა (წევრთა საერთო კრება) – (შემდგომ ტექსტში – ყრილობა), რომელიც მოიწვევა ოთხ წელიწადში ერთხელ.

6.3. პროფკავშირის ყრილობის კომპეტენცია:

ა) პროფკავშირის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

ბ) პროფკავშირის თავმჯდომარის, გამგეობის, საკონტროლო-სარევიზიო კომისიის არჩევა 4 (ოთხი) წლის უფლებამოსილების ვადით;

გ) პროფკავშირის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და სამოქმედო პროგრამების განსაზღვრა;

დ) პროფკავშირის თავმჯდომარის, გამგეობის და საკონტროლო-სარევიზიო კომისიის ანგარიშის მოსმენა;

ე) გადაწყვეტილების მიღება პროფკავშირის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ;

ვ) პროფკავშირის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის დელეგატებსა და გამგეობის წევრებად ასარჩევ კანდიდატურებს, დემოკრატიული პრინციპების დაცვით, ირჩევენ პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების უმაღლესი კოლეგიური ორგანოები გამგეობის მიერ დადგენილი კვოტის მიხედვით;

ზ) პროფკავშირის ყრილობის მოწვევის, ჩატარების თარიღის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ დადგენილებას იღებს პროფკავშირის გამგეობა ყრილობამდე არაუგვიანეს ერთი თვისა;

6.4. პროფკავშირის რიგგარეშე საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა შეიძლება მოწვეულ იქნას პროფკავშირის გამგეობის დადგენილებით ან თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

6.5. პროფკავშირის რიგგარეშე საანგარიშო-საარჩევნო ყრილობას აქვს იგივე უფლებამოსილობები, რაც მორიგ საანგარიშო-საარჩევნო ყრილობას.

6.6. პროფკავშირის ყრილობის ჩატარების თარიღის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს პროფკავშირის ყველა პირველად ორგანიზაციას, ყრილობამდე არაუგვიანეს ორი კვირისა.

6.7. პროფკავშირის ყრილობა ყრილობის დელეგატთა შემადგენლობიდან ირჩევს პროფკავშირის გამგეობის შემადგენლობას (ფარული ან ღია კენჭისყრით).

6.8. პროფკავშირის ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პროფკავშირის დელეგატთა სიითი შემადგენლობის წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება ყრილობაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, გადაწყვეტილება რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ მიიღება დამსწრეთა 2/3-ის უმრავლესობით.

6.9. პროფკავშირის ყრილობებს შორის პერიოდში ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს გამგეობა, რომლის სხდომები მოიწვევა 3 (სამი) თვეში ერთხელ. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა გამგეობის წევრების 1/3 მოთხოვნით ან თავმჯდომარის ინიციატივით.

6.10. გამგეობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

6.11. პროფკავშირის გამგეობა:

ა) განსაზღვრავს ყრილობის მოწვევის თარიღს, ჩატარების ადგილსა და დღის წესრიგს;

ბ) უზრუნველყოფს საწესდებო მიზნების განხორციელების მიზნით ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას;

გ) წარმართავს პროფკავშირის საქმიანობას ყრილობებს შორის და ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე;

დ) შეიმუშავებს წინადადებებს საწევრო და სხვა სპეციალური შენატანების შესახებ და იხილავს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს;

ე) იღებს გადაწყვეტილებებს პროფკავშირის წევრად მიღების შესახებ;

ვ) თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე ირჩევს თავმჯდომარის მოადგილე (ებ)ს;

ზ) კანონით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებებს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების თაობაზე;

თ) იღებს გადაწყვეტილებებს ყველა სხვა მიმდინარე საკითხებზე, რაც წარმოიშვება ყრილობებს შორის პერიოდში, რაც ყრილობის განსაკუთრებულ კომპეტენციას არ განეკუთვნება და რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მომდევნო ყრილობამდე;

ი) ყრილობამდე სამი თვით ადრე განსაზღვრავს პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციებში პროფკავშირის ყრილობის დელეგატთა არჩევნების დაწყებისა და დამთავრების ვადებს.

6.12. პროფკავშირის გამგეობის შემადგენლობას 4 (ოთხი) წლის ვადით ირჩევს პროფკავშირის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

6.13. საანგარიშო-საარჩევნო პერიოდში გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში იმ ორგანიზაციას, რომელმა ორგანიზაციამაც წარმოადგინა გამგეობის წევრი, უფლება აქვს გამგეობის შემადგენლობაში წარმოადგინოს ახალი წევრი, ამ შემთხვევაში ახალი წევრის უფლებამოსილების საკითხს წყვეტს პროფკავშირის გამგეობა.

6.14. პროფკავშირის გამგეობის წევრი არ შეიძლება იყოს იმავდროულად პროფკავშირის საკონტროლო-სარევიზიო კომისიის წევრი.

6.15. პროფკავშირის გამგეობის უფლებამოსილების ვადა გრძელდება მომდევნო საანგარიშო-საარჩევნო ყრილობამდე.

6.16. პროფკავშირის გამგეობის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ერთისა ყოველ სამ თვეში პროფკავშირის თავმჯდომარის მოწვევით.

6.17. პროფკავშირის გამგეობის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:

ა) პროფკავშირის თავმჯდომარის ინიციატივით;

ბ) გამგეობის წევრთა 1/3-ის მოთხოვნის საფუძველზე.

6.18. პროფკავშირის გამგეობა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მის სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

6.19. პროფკავშირის გამგეობის დადგენილება მიიღება სხდომაზე დამსწრე გამგეობის წევრთა ხმების უმრავლესობით, ხოლო ხმათა გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება თავმჯდომარის გადაწყვეტილებას.

6.20. პროფკავშირის გამგეობა უფლებამოსილია:

ა) საანგარიშო პერიოდში თავმჯდომარის მოადგილის პირადი განცხადების, პროფკავშირის მიზნებისა და წესდების საწინააღმდეგო ქმედების განხორციელების შემთხვევაში, ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება და თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობა თავმჯდომარის წარდგინებით დააკისროს გამგეობის ერთ-ერთ წევრს;

ბ) საჭიროების შემთხვევაში და თავმჯდომარის თანხმობით მიიღოს გადაწყეტილება დამოუკიდებელი აუდიტორის მოწვევის შესახებ;

გ) განსაზღვროს პროფკავშირის საფინანსო პოლიტიკა;

დ) დაამტკიცოს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი პროფკავშირის ბიუჯეტი;

ე) განახორციელოს სხვა უფლება-მოვალეობები წინამდებარე წესდების შესაბამისად.

Mმუხლი 7. პროფკავშირის საკონტროლო-სარევიზიო

კომისია

7.1. პროფკავშირის საკონტროლო-სარევიზიო კომისია:

7.2. პროფკავშირის საკონტროლო-სარევიზიო კომისიას 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით, ირჩევს პროფკავშირის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა 4 (ოთხი) წლის ვადით;

7.3. პროფკავშირის საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს, ირჩევს საკონტროლო-სარევიზიო კომისია მისი შემადგენლობიდან, საკონტროლო-სარევიზიო კომისიის უფლებამოსილების ვადით.

7.4. კონტროლს უწევს პროფკავშირის სახსრების მიზნობრივ ხარჯვას, ბიუჯეტის შესრულებას, საწევრო ანარიცხების დროულ გადმორიცხვას და ყრილობისა და გამგეობის გადაწყვეტილებების შესრულებას;

7.5. ანგარიშვალდებულია პროფკავშირის ყრილობისა და გამგეობის წინაშე

7.6. საკონტროლო–სარევიზიო კომისია თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს მოცემული წესდებით, დებულებით საკონტროლო–სარევიზიო კომისიის შესახებ და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

7.7. პროფკავშირის საკონტროლო–სარევიზიო კომისია ახორციელებს ყველა დონის პროფკავშირის არჩევითი ორგანოს მოღვაწეობის კონტროლს და ატარებს შემოწმებებს.

7.8. საკონტროლო–სარევიზიო კომისიას უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს რევიზიების ან შემოწმებების ჩატარებისას საბუღალტრო, საფინანსო და სხვა საჭირო დოკუმენტების დედნების წარმოდგენა.

ბ) შეამოწმოს მატერიალურად პასუხისმგებელი პირების სახსრების და მატერიალური ფასეულობების ფაქტიური რაოდენობა და მათი შენახვის უზრუნველყოფა.

გ) მიიღოს მონაცემები საკრედიტო დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშზე ანგარიშსწორების ცნობები, ჩაატაროს მის სქმიანობასთან დაკავშირებული შემხვედრი შემოწმებები.

დ) საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს აუდიტი და კვალიფიციური სპეციალისტები პროფბიუჯეტის სახსრებიდან მათი შრომის ანაზღაურებით.

ე) კომისიის მოთხოვნები გამოვლენილი დარღვევებისა და დანაკლისების აღმოსაფხვრელად პირველადი პროკავშირული ორგანიზაციის კომიტეტისთვის სავალდებულოა, რომელთა ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან თავიანთი კოლეგიალური ორგანოს სხდომაზე ერთი თვის ვადაში განიხილონ შემოწმების მასალები და მიღებული ზომების შესახებ ინფორმაცია გაუკეთონ კომისიას.

7.9. საკონტროლო–სარევიზიო კომისია ვალდებულია:

ა) ჩაატაროს რევიზიები და შემოწმებები, შეიმუშაოს და სარევიზიო ორგანოში შეიტანოს წინადადებები გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, გააკონტროლოს მათი შესრულების მიმდინარეობა.

ბ) ფინანსური დარღვევების, სახსრების და მატერიალური ფასეულობების დანაკლისის ფაქტების გამოვლენისას მოითხოვოს პროფკავშირული ორგანოებისაგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ზომების მიღება და დამნაშავე პირების პასუხისგებაში მიცემა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გ) ოპერატიულად მოახდინოს ჩატარებული რევიზიისა და შემოწმების შედეგების საჯაროობა.

დ) ჩატარებული მუშაობის წლიური შედეგების შესახებ ანგარიში გაუკეთოს კოლეგიალურ პროფკავშირულ ორგანოს.

ე) პროფორგანოების საფინანსო–სამეურნეო საქმიანობის შემოწმება ხდება პერიოდულად, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

ვ) საკონტროლო–სარევიზიო კომისიის წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პროფკავშირის აღმასრულებელი ორგანოს სხდომების მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

მუხლი 8. პროფკავშირის ფინანსური სახსრები

და ქონება

8.1. პროფკავშირის ფინანსური წყაროა – პროფკავშირული საწევრო შენატანები.

8.2. პროფკავშირის ყველა წევრი ვალდებულია ყოველთვიურად გადაიხადოს მოცემული წესდებით განსაზღვრული საწევრო შენატანები. ყოველთვიურად საწევრო შენატანების ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე.

8.3. პროფკავშირის სახსრებისა და ქონების შექმნის წყაროს წარმოადგენს:

ა) ყოველთვიური პროფსაწევრო შენატანები;

ბ) იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ქონებრივი შენატანები და შემოწირულობები;

გ) თავისუფალი საფინანსო სახსრების ბანკებში განთავსებით (დეპოზიტით) მიღებული შემოსავლები;

დ) სხვადასხვა შემოსავლები, რომლებიც კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

8.4. პროფკავშირს გააჩნია სრული ფინანსური დამოუკიდებლობა, ფლობს, იყენებს და განაგებს მის საკუთრებაში არსებულ სახსრებსა და ქონებას.

8.5. პროფკავშირის საწევრო შენატანებით შემოსული სახსრები პროფბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვის, თანახმად იხარჯება საწესდებო მოვალეობების შესრულებაზე, სააგიტაციო და საგანმანათლებლებო, საინფორმაციო და საგამომცემლო საქმიანობაზე, გამგეობის აპარატის შენახვასა და სამეურნეო მომსახურებაზე. სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად, მოწვეული სპეციალისტების შრომის ანაზღაურებაზე, პროფკადრების და აქტივის სწავლებაზე, ღონისძიებებზე, სემინარებზე, ტრენინგებზე, საერთაშორისო საქმიანობაზე, საქველმოქმედო ფონდების შესაქმნელად და სხვა კანონით აუკრძალავი მიზნებისთვის.

8.6. პროფკავშირის სახსრებისა და ქონების მართვის და განარგვის უფლება აქვს პროფკავშირის თავმჯდომარეს.

8.7. პროფკავშირული ორგანიზაციებისა და პროფკავშირის წევრებისათვის დახმარების გასაწევად, პირველადი პროფორგანიზაციების ერთიანი მოქმედების ორგანიზაციისა და გაფიცვების მხარდასაჭერად საწესდებო საქმიანობის ფარგლებში იქმნება შიდა დარგობრივი პროფკავშირული სოლიდარობის და საგაფიცვო ფონდი.

მუხლი 9 პროფკავშირის საქმიანობის შეწყვეტა

და ლიკვიდაცია

9.1. პროფკავშირის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს თანახმად ყრილობის გადაწყვეტილების, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის გზით.

9.2. პროფკავშირის რეორგანიზაცია ხორციელდება თანახმად ყრილობის გადაწყვეტილებისა, ხოლო ლიკვიდაცია – ყრილობის ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

9.3. პროფკავშირის სახსრები და სხვა ქონება არ შეიძლება გადანაწილდეს მის წევრებს შორის. იგი გამოიყენება საწესდებო ამოცანების შესასრულებლად ან საქველმოქმედო მიზნებისათვის.

9.4. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი ქონება და სახსრები. რომლებიც დარჩა ხელფასების, პირველადი ორგანიზაციის კომიტეტის შტატიანი მუშაკების კომპენსაციების გაცემის და კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად განიკარგება ზემდგომი პროფკავშირული ორგანიზაციის შეხედულებების მიხედვით და იხარჯება ორგანიზაციის საწესდებო მიზნებისათვის.

9.5. პროფკავშირის ლიკვიდაციის შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშსწორებისა და საგადასახადო ვალდებულებების შესრულების შემდეგ დარჩენილი სახსრების და ქონების გამოყენების წესს განსაზღვრავს პროფკავშირის გამგეობა.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1. წინამდებარე წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის უფლება აქვს პროფესიული კავშირის საერთო კრებას.

10.2. პროფესიული კავშირის წევრთა რიცხოვნობა დგინდება სტატისტიკური ანგარიშის მიხედვით ყოველი წლის პირველი თებერვლისათვის;

10.3. საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე წესდებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული დებულებებით, ბრძანება/განკარგულებებით, ინსტრუქციებითა და რეგლამენტებით.